ხაშურის მოამბე

№10 11 აგვისტო, სამშაბათი, 2015 წელი

ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო – ევროპიდან

ბრავო, ალექსანდრე! ბრავო, გიორგი! ბრავო, თორნიკე!

ასეთი რამ, ფაქტობრივად, ჩვენი რაიონის ისტორიაში არ მომხდარა. არა, ჩვენ გვყავს ოლიმპიადის პრიზიორიც, მსოფლიო ჩემპიონიც, ევროპის ჩემპიონიც, მაგრამ ერთი ტურნირიდან ხაშურელ სპორტსმენებს, თანაც ევროპის ჩემპიონატიდან, ერთბაშად სამივე სინჯის მედალი წამოეღოთ, პირველი შემთხვევაა. ახლა, როდესაც ეს სტრიქონები იწერება, სულ რამდენიმე წუთის დასრულებულია ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი და ისეთ ემოციურ ფონზე მიწევს წერა, გული სიხარულისგან ვედარ გავაჩერე. ეს რა მაგარი ბიჭები გვყოლია! ეს რა ვაჟკაცები გვეზრდებიან! გენაცვალეთ სამივეს და ვენაცვალე თქვენს აღმზრდელებს. აქ, რა თქმა უნდა, მშობლებსაც ვგულისხმობ, საჯარო სკოლასაც, სასპორტო სკოლასაც და, პირველ რიგში, მათ მწვრთნელს – გიორგი კვინიკაძეს. ეს კაცი მართლაც ქებას იმსახურებს. ის და მამამისი, ცნობილი სპორტსმენი და მწვრთნელი – ვახტანგ კვინიკაძე, წლებია ისეთ ბოკვერებს ზრდიან, მთელი რაიონისთვის მოაქვთ სიხარული.

სულ ვფიქრობდი და ახლა მინდა გავაჟღერო: ვინ, ვინ და ეს ხალხი ნამდვილად იმსახურებს საპატიო ხაშურელის ტიტულს – იღვწიან, შრომობენ, შედეგს დებენ, ჩვენს ქალაქს მსოფლიოს აცნობენ... არ ეკუთვნით? ვფიქრობ, რომ ნამდვილად ეკუთვნით.

კარგი, ეს სხვა თემაა და ისევ ჩვენს ოქროს ბიჭებს დავუბრუნდეთ. ჯერ იყო და ამ ორიოდე თვის წინ (ჩვენი მკითხველი ინფორმირებულია ამის შესახებ) მართლაც სენსაციად მოინათლა, როდესაც საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ შედეგების მიხედვით, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ერთბაშად ოთხი ხაშურელი მოხვდა და ყველა გიორგი კვინიკაძის შეგირდი. ნაკრებში გამოძახებულებმა, რა თქმა უნდა, ინტენსიური ვარჯიშები დაიწყეს ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელიც სერბეთში გაიმართა. აი, აქ კიდევ ერთ განსაკუთრებულ შემთხვევაზე მინდა გითხრათ ორიოდ სიტყვა. რა თქმა უნდა,

ნაკრების მწვრთნელებს არც კომპეტენცია აკლიატ და არც პროფესიონალიზმი, მაგრამ ამ ასაკში მაინც ბევრ რამეს ნიშნავს, როდესაც პირადი მწვრთნელი გახლავს თან. სამწუხაროდ, ადრე არასოდეს მომხდარა, რომ გიორგი კვინიკაძე მსგავს ტურნირებში, თან ხლებოდა შეგირდებს, რადგან ეს ყველაფერი დიდ სახსრებთან იყო დეაკავშირებული. ამ ჩემპიონატისთვის კი გიორგი მგზავრობა მთლიანად მუნიციპალიტეტის გამგეობამ დააფინანსა და მართლაც მადლობა მათ ამისთვის.

ახლა კი ჩემპიონატის შესახებ: ჩვენებიდან პირველ ჩემპიონატში ალექსანდრე ლომიძე ჩაერთო 58 კგ. წონით კატეგორიაში. პირველ წრეში პოლონელ კრისტიან პრისკორზის მოუთავა ბოლო –10:0. შემდეგ ისრაელის წარმომადგენელს – გენადი ბენოგოევს აყარა იგივე დღსე –10:0, ნახევარფინალში ოდნავ კი გაუჭირდა, მაგრამ მაინც „ახოხიალა“ აზერბაიჯანელი გერია გადისი. ფინალში კი მის პირდაპირ თურქი მოჭიდავე დადგა. ალექსანდრე თავიდანვე დაწინაურდა, თურქს პასიურობისათვის 30 წამიანი ჩაურთეს, მაგრამ ვერ გამოიყენა, რადგან ლომიძე მშვენივრად იცავდა თავს –1:0. ამის შემდეგ იყო კრიტიკული მომენტი, როდესაც თურქმა ზურგზე მოიგდო ჩვენი მოჭიდავე და ალბათ გდებაც შესრულდებოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, პირველი პერიოდის დრო ამოიწურა. მეორე წრის დასაწყისში თურქმა შესძლო ანგარიშის გათანაბრება – 2:2, მაგრამ ჩვენმა ოქროს ბიჭმა დიდხანს არ შეარჩინა ეს სიხარული და ბრწყინვალე 4-ქულიანი

გდებით გაიჭრა წინ – 6:2. ამის შემდეგ ლომიძემ წრიდან გაყვანისთვის დაკარგა ერთი ქულა, მაგრამ ეს არარაფერს ცვლიდა – ალექსანდრე ლომიძე ევროპის ჩემპიონი გახდა.

გიორგი ხაჩიძე ადრე, 42 კილოგრამ წონით კატეგორიაში ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი იყო. ახლა წონა გამოიცვალა და 46 კილოგრამში გადავიდა. პირველ წრეში მან სუფთად მოუგო ფრანგ ვალენტინ დემურს. შემდეგ პოლონელ კორდიან სერნზინსკისთან 4:4 დაასრულა შეხვედრა, მაგრამ დამატებითი მაჩვენებლით მოგება მას დარჩა, ნახევარფინალში ბერძენ გეორგიოს ფილიდისს გასცდა – 8:5 და მხოლოდ ფინალური შეხვედრა დათმო სომეხ არსენ ჰარუთინიანთან.

ძალიან გულდასაწყვეტი გამოდგა თორნიკე კვინიკაძის პაექრობა. იგი 63 კგ. კატეგორიაში ფავორიტად ითვლებოდა და პირველ წრეში აზერბაიჯანელ ყურბან ყურბანოვს აჯობა – 10:2, შემდეგ თურქ ჰასან კაიას –10:8 და ნახევარფინალში რუს მაგომედ სარხოევს შეერკინა. წარმოიდგინეთ, შეხვედრის დასრულებამდე 5 წამით ადრე ჩვენი წინ იყო და მხოლოდ დროის გაყვანაზე ფიქრი მართებდა, მაგრამ... მესამე ადგილისთვის თორნიკემ აშკარად დაჯაბნა უკრაინელი გრიგორი ტერზი.

მხოლოდ მეოთხე ხაშურელს ივანე გოდელაშვილს (54 კგ.) არ გაუმართლა ამ ჩემპიონატში და უმედლოდ დარჩა, მაგრამ იგი ძალზედ პერსპექტიული ჭაბუკია და იმედია, მომავალში გამოიჩენს თავს.

სხვათაშორის, 28 აგვისტოს, ბოსნიაში, უკვე მსოფლიო ჩემპიონატზე გაემგზავრებიან ჩვენი ბიჭები და ასეთი წარმატების შემდეგ, ვითომ რატომ არ უნდა გვქონდეს მათი იმედი? გვაქვს და მერე როგორ!

მანამდე კი, კიდევ ერთხელ გავიმეოროთ: ბრავო ალექსანდრე! ბრავო გიორგი! ბრავო თორნიკე! და, რა თქმა უნდა, ბრავო, გიორგი კვინიკაძე!

გ. გოგოლაძე

სურათებზე: (მარცხნივ ზემოთ და ქვემოთ) დახვედრა აეროპორტში; მწვრთნელი გ. კვინიკაძე თავის სტიქიაში. (მარჯვნივ მაღლიდან დაბლა ა. ლომიძე, გ. ხაჩიძე, თ. კვინიკაძე.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება

პროექტი

2015 წლის ივლისი, ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ელექტრონული საქმისწარმოების წესი დანართი 1-ის შესაბამისად

მუხლი 2. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ვაჟა შუბითიძე

მოამზადა: ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მთავარმა სპეციალისტმა თეა ჯაფარაშვილმა

დანართი 1

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ელექტრონული საქმისწარმოების წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ელექტრონული საქმისწარმოების წესი (შემდგომში -წესი) არეგულირებს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (შემდგომში - საკრებულოს) „სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 21 თებერვლის №64 დადგენილების შესაბამისად, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით საქმისწარმოების განხორციელების პირობებს .

2. საკრებულოს საქმისწარმოებაში გამოყენებული ელექტრონული დოკუმენტების სახეები, მათი გაფორმების სტანდარტები განისაზღვრება სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" ავტომატიზებული დოკუმენტბრუნვის პროგრამით, აგრეთვე ავტომატიზებული ელექტრონული პროგრამით: „მუნიციპალიტეტების მართვის სისტემა"

3. საკრებულოში ელექტრონული საქმისწარმოების სრულ დანერგვამდე ,ელექტრონული საქმისწარმოების სისტემისა და მოქმედი კანონმდებლობის გარდა,გამოიყენება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 6 სექტემბრის 93 განკარგულება " ხაშურის მუნიციპალიტეტის ორგანოებში საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ"

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა - ელექტრონული დოკუმენტების გაცვლის სისტემა,რომლის მონაწილეთა შორის არსებული ურთიერთობები რეგულირდება ამ წესითა და სხვა ნორმატიული აქტებით;

2. ავტორიზაცია - საკრებულოს შესაბამისი უფლებამოსილი თანამშრომლის რეგისტრაციის შედეგად მიღებული „მომხმარებლის სახელისა" და „პაროლის" მეშვეობით ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში შესვლა,რომლითაც საკრებულოს თანამშრომელი ადასტურებს საკუთარ ვინაობას და ახორციელებს ელექტრონულ დოკუმენტზე ხელმოწერას;

3. ციფრული ხელმოწერა – „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ხელმოწერა;

4. ელექტრონული დოკუმენტი - ელექტრონული, ოპტიკური ან სხვა მსგავსი საშუალების გამოყენებით შექმნილი, გაგზავნილი, მიღებული ან/და შენახული წერილობითი ინფორმაცია.

5. განცხადება - დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა;

6. სამართლებრივი აქტი - საკრებულოს მიერ კანონმდებლობის საფუძველზე ელექტრონული ან/და მატერიალური ფორმით გამოცემული სამართლებრივი აქტი.

7. დაინტერესებული მხარე - ნებისმიერი ფიზიკური ან/და იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია სამართლებრივი აქტი, აგრეთვე, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს სამართლებრივი აქტი, ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება.

8. პირადი გვერდი – განმცხადებლის ინდივიდუალური გვერდი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში, სადაც ფიქსირდება მისი დოკუმენტბრუნვა სამსახურთან.

მუხლი 3. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება და განცხადების წარდგენა

1. საკრებულოს მიერ ელექტრონული საშუალებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყება შესაძლებელია საკრებულოში წარდგენილი დაინტერესებული პირის განცხადებით (შემდგომში განმცხადებელი) ან/და საკრებულოს ინიციატივით;

2. საკრებულოში განცხადების წარდგენის შემდეგ, საკრებულოს აპარატის ელექტრონულ საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს განცხადების (თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, ასეთის არსებობის შემთხვევაში) განთავსებას, ატვირთვას ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში;

3. განცხადება მოწმდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

4. განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის ნამდვილობაზე ან/და ორიგინალთან მათ შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება განმცხადებელს;

5. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით საკრებულოს შესაბამის სამსახურებს განცხადება და თანდართული დოკუმენტები არ გადაეგზავნება, თუ განმცხადებელი ვერ უზრუნველყოფს განცხადებაზე მიბმული ყველა სავალდებულო ველის შევსებას, რაც გულისხმობს საკითხის განხილვისათვის საჭირო ყველა დოკუმენტის ან/და ინფორმაციის მიწოდებას.

6. თუ განმცხადებელი საკრებულოს არ წარუდგენს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს, ან ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, საკრებულო განმცხადებელს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას დამატებითი დოკუმენტის ან /და ინფორმაციის წარდგენისათვის. ვადის ამოწურვის შემთხვევაში საკრებულო მოქმედებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 4. განცხადების განხილვა და სამართლებრივი აქტის გამოცემა

1. განცხადების განხილვა, დოკუმენტის ვიზირება, სამართლებრივი აქტის გამოცემა ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით . დოკუმეტის ვიზირება შესაძლებელია განხორცილდეს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში მიმოწერის საშუალებით;

2. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით გამოცემული სამართლებრივი აქტი ან/და სხვა ელექტრონული დოკუმენტი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

3. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით გამოცემული სამართლებრივი აქტი ძალაში შედის დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობისთანავე (გადაცემა).

4. სამართლებრივი აქტის ოფიციალურ გაცნობად ჩაითვლება განმცხადებლისთვის მისი გაცნობა ან შესაბამისი აქტის გადაცემა.

5. დაინტერესებული მხარისათვის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით გამოცემული სამართლებრივი აქტის ოფიციალურ გაცნობად ჩაითვლება სამართლებრივი აქტის ელექტრონული ან/და მატერიალური საშუალებით პირველივე გაცნობა.

6. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით შექმნილი დოკუმენტის ნამდვილობის დადგენა შესაძლებელია მისი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში გადამოწმების ან/და დაშიფრული კოდის სპეციალური წამკითხველის მეშვეობით.

7. განცხადების,სამართლებრივი აქტის ნომერი და თარიღი განისაზღვრება ავტომატურ რეჟიმში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით.

მუხლი 5. დაინტერესებული მხარის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში

ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული მხარის მონაწილეობას უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი.

მუხლი 6. განცხადების განხილვის ვადები

განცხადების განხილვის ვადის დინება აითვლება მისი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში განთავსების/ატვირთვის შემდგომი დღიდან. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით კანონმდებლობით დადგენილი ვადების ათვლისას საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრული უქმე და დასვენების დღეები არ იანგარიშება.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სესია

3 აგვისტოს, ადმინისტრაციული სახლის სხდომათა დარბაზში, გაიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სესიას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ვაჟა შუბითიძე. სხდომაზე, საკრებულოს წევრებმა, აუცილებლობიდან გამომდინარე, ცვლილებები შეიტანეს 2014 წლის 11 დეკემბერს მიღებულ №201 განკარგულებაში („2015 წელს განსახორციელებელი ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი რელიგიური დანიშნულების ნაგებობების ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამა“) და 2015 წლის 12 მარტს მიღებულ №506 განკარგულებაში („მუნიციპალიტეტის დასახლებებში განსახორციელებელი სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკური პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“).

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლიდან, სახანძრო სამსახური გამოეყო მუნიციპალურ დაქვემდებარებას, გადავიდა შსს შემადგენლობაში და გადაკეთდა სახანძრო-სამაშველო სამსახურად. აქედან გამომდინარე, სესიაზე, საკრებულოს წევრებმა თანხმობა მისცეს მუნიციპალიტეტის გამგებლის წინადადებას სახანძრო სამსახურის (აგარის ქ. №10) უძრავი ქონებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე.

ამავე სესიაზე, საკრებულოს წევრებმა დაამტკიცეს ელექტრონული საქმისწარმოების წესი და მუნიციპალიტეტის დასახლებებში განსახორციელებელი სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკური პროექტების ნუსხა.

– კოოპერატივები მოქმედებაში –

„გულქართლი“ მომავლის იმედით უყურებს

ჩვენი გაზეთი წარმატებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საქმიანობას კვალაკალ მიჰყვება, რადგან ხაშურის რაიონი, ამ მხრივ, დიდი მონდომებით და ჩართულობით გამოირჩევა. წინა ნომერში "რაჟდენის" შესახებ ვისაუბრეთ, რომელმაც თავისი საქმიანობის ხელშეწყობისათვის 25 000 ლარიანი გრანტი მიიღო, დღეს მეორე წარმატებულ კოოპერატივ "გულქართლს" გაგაცნობთ, რომელიც ტრადიციული მეთოდებით აწარმოებს ბიოპროდუქციას. რომლის სარგებელს უკვე მიხვდა ქართველი მომხმარებელი. "გულქართლი" შერეული ტიპის კოოპერატივია, რომელიც ერთნაირი წარმატებით აერთიანებს საფუტკრე მეურნეობას და მარცვლეული კულტურების მოყვანა-გადამუშავებას. ამ საქმიანობის განხორციელებაში მას სახელმწიფოს და სხვა დონორი ორგანიზაციების პროგრამები და საგრანტო მხარდაჭერა დაეხმარათ. კახაბერ ღონღაძე, რომელიც კოოპერატივ "გულქართლის" აღმასრულებელი დირექტორია, კოოპერატივის შექმნის, საქმიანობის და მიმართულებების შესახებ გვესაუბრა:

-რატომ გადაწყვიტეთ საფუტკრე კოოპერატივის შექმნაც, თუ გქონდათ მანამდე საფუტკრე მეურნეობის გამოცდილება?

-15 წელია, რაც მეფუტკრეობას მივდევ. სხვადასხვა დროს, საფუტკრე მეურნეობების განვითარების მიზნით, მრავალ პროექტებში მაქვს მინაწილეობა მიღებული, რაც დამეხმარა ჩემი საფუტკრე მეურნეობის განვითარებასა და

მოდერნიზებაში. ყოველთვის თვალს ვადევნებდი და ყურადღებით ვიყავი, როდესაც საგრანტო კონკურსები ცხადდებოდა. მქონდა საკონსულტაციო თანამშრომლობითი ურთიერთობები, რაც გახდა საფუძველი ჩამოგვეყალიბებინა კოოპერატივი, რომელსაც გარდა დონორი ორგანიზაციებისა, დიდ მხარდაჭერა აქვს სახელმწიფოს მხრიდანაც. ამის შემდეგ, შევქმენით კოოპერატივი "გულქართლი" და თანამშრომლობას მივეცით ოფიციალური სახე. თავდაპირველად, 6 წევრისაგან შედგებოდა, დღეს კი 18 წევრი ვართ. იგეგმება მე-19-ე, ე.წ. "ასოცირებული წევრის" შემოყვანა. ვაპირებთ, მცირე საოჯახო ტიპის სახლიდან შემოვიყვანოთ აღსაზრდელი და მივცეთ შესაძლებლობა, განვითარების, რეალიზების და მომავლის შექმნის.

-რა ტიპის გრანტი აიღეთ?

-ჩვენი კოოპერატივი, მეორე წელია არსებობს."მერსი ქორფსის", "ემპარდის", "ჯიპას" და "აგრო სერვისის" პროგრამის ფარგლებში მოხდა პროექტის დაწერა, რომელიც ორიენტირებული იყო საფუტკრე მეურნეობის გაფართოებაზე, თაფლის საწარმოო პროცესის სურსათის უვნებლობის სტანდარტებთან მოყვანაზე. იგულისხმება შესაბამის სტანდარტებთან მიახლოება. ეს გრანტი მოიცავდა 55 000 ლარს, 15%-იან თანადაფინანსებით. ამ ეტაპზე გვყავს 80 ძირი ფუტკარი, გრანტის პირობებში მომავალ წელს 160 გვეყოლება. 3 წლიწადში კი ვგეგმავთ 300 ძირამდე გაფართოებას, რადგან ძირითადი მიმართულება, გამრავლებაზე გვაქვს აღებული. ამჟამად, ხელშეკრულება გაფორმებულია ჩვენსა და მოცემულ ორგანიზაციებს შორის და ინვენტარის შეძენა-გადმოცემის ფაზაში ვართ.

-რამდენადაც ვიცი, "გულქართლი" გარდა მეფუტკრეობისა, მარცვლეული კულტურის მოყვანას და გადამამუშავებელ საქმიანობასაც ეწევა.

-ჩვენი კოოპერატივი დაკომპლექტებულია პედაგოგების, ბიოლოგების, მენეჯერების, ექიმების, მეცნიერ-მუშაკებისაგან, რაც საშუალებას გვაძლევს, ჩვენი საქმიანობა, რამდენიმე მიმართულებით წარვმართოთ. კოოპერატივი არ შექმნილა მხოლოდ მეფუტკრეობის ხელშეწყობის მიზნით, ამავდროულად, კოოპერატივი აწარმოებს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებს, ადგ-

ილზევე ხდება მისი გადამუშავება და შემდგომში რეალიზაცია. მოგვყავს უძველესი ტრადიციული ჯიშის ხორბლის სახეობები "ახალციხის წითელი დოლი", „თავთუხი“, სიმინდი "კაჟოვანა". დაახლოებით 3 ტონა სუფთა ჭვავს ვაწარმოებთ, ხდება მისი დამუშავება და ფქვილის სახით რეალიზება. ვეწევით ამ კულტურების ტრადიციულად მოყვანას, დაფქვას და რეალიზებას კერძო სექტორზე. გემოვნური თვისებები და კვებითი ღირებულება სხვა ჯიშებთან შედარებით, 4/1-ზეა. ჩვენს საკუთრებაშია 10 ჰა მიწის ნაკვეთი, რაც ამ ეტაპზე არ იძლეოდა მნიშვნელოვნად გაართოების შესაძლებლობას, გასაღების ბაზარი ძირითადად თბილისი და სამეგრელოა, რადგან უფრო დიდია მოთხოვნილება ბიოპროდუქტზე, ბაზარზე მოთხოვნილება გვკარნახობს ჩვენი მეურნეობის გაფართოების აუცილებლობას. ეს მოთხოვნა ვრცელდება როგორც ფქვილზე, ასევე სათესლე მასალაზეც.

-წელს თუ მიიღეთ თაფლის მოსავალი და თუ ახდენთ რეალიზაციას?

-600-700 კგ. თაფლი ამოვიღეთ წელს. გამრავლებაზე ვართ ორიენტირებულები ძირითადად. რაც შეეხება რეალიზაციას, აუცილებელია სურსათის უვნებლობის სტანდარტის დაცვა, რაც შემდგომ შესაძლებლობას მოგვცემს, მის ბრენდირებაზეც ვიფიქროთ.

კოოპერატივის სააგენტოს ინიციატივით, საქართველოში მეფუტკრეობის დარგის განვითარების ხელშეწყობის, გამოცდილების მიღებისა და გაზიარების მიზნით, საფუტკრე კოოპერატივის თითო წევრი გაეგზავნა ჩინეთში, ორთვიან გადამზადების კურსებზე. ჩვენგან ორი წევრი ავთანდილ ტაბატაძე და გიორგი გარსევანიშვილი მიემგზავრებიან, რომლებიც მომავალში თავიანთ გამოცდილებას მოახმარენ "გულქართლს". ასევე, კოოპერატივი გეგმავს საფუტკრე მეურნეობის შექმნას შიდა ქართლში, რომლებიც პრაქტიკულ და თეორიულ გამოცდილებას გაუწევენ, როგორც მოყვარულ, ასევე მსხვილ საფუტკრე მეურნეობებს.

თ. ჯავახიშვილი

სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკური პროექტების ნუსხა									
	ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი	2012 წელში გამოყოფილი სახსრების ნაშთი	2013 წელში გამოყოფილი სახსრების ნაშთი	2014 წელში გამოყოფილი სახსრების	გაერთიანებული თანხის ჯამი(გაერთიანების შემთხვევაში)	სამუშაოთა ნუმერაცია №	პროექტის დასახელება	პროექტის ღირებულება
1	წრომი	წრომი			482		1	სოფელ წრომში საუბნო ონკანების(ნიჟარის) შესყიდვა	482
		დიდი ყელეთი			285		2	სოფელ დიდ ყელეთში სამშენებლო მასალების და მილების შესყიდვა	285
		ახალშენი			653	4103	3	ხავლეთი იმერლიანთკარის საერთო სარგებლობის გზის რეაბილიტაცია	4103
		იმერლიანთკარი			1150				
		ხავლეთი			2300				
2	ხალები	ღვრია წყალი		2478			4	არტეზიული ჭის მოწყობა	2478
3	ცოცხნარა	ქემფერი		521,39	739,5	1260,89	5	სოფელ ქემფერში გარე განათების მოწყობა	1260,89
		წაბლოვანა		816,6	3106	3922,6	6	სოფელ წაბლოვანაში სარიტუალო დარბაზის მშენებლობის გაგრძელება	3922,6
		ცედანი		6115			7	სოფელ ცედანში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა	6115
		ოძისი		4894			8	სოფელ ოძისში წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა	4894
4	ალი	ბრილი			1880		9	სოფელ ბრილში ხიდის მოაჯირის მოწყობა	1880
		ნაბახტევი	4227,47	34,24	567	4828,71	10	სოფელ ნაბახტევში სამანქანო ხიდის მოწყობა	4828,71
		ქინძათი	64	2954	911	3929	11	სოფელ ქინძათში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა	3929
		ალი	2106,96	278,91	2655	12778,63	12	სოფელ ალში არსებული სასაფლაოს შემოღობვა	5040,87
		ახალუბანი	3757	851			13	სოფელ ალში წყლის ქსელის მოწყობა	3000
		ზემო აძვისი		233			14	სოფელ ალში არსებული ღია საჭიდაო არენის შეღობვა	1237,76
		ცხეთიჯვარი	1460				15	სოფელ ალში არსებული ხიდის მოაჯირების მოწყობა	2000
		უწლევი	1083,9	352,86			16	სოფელ ალში სასმელი წყლის 2 ნიჟარის მოწყობა	1500
6	გომი	ხიდის ყური		1431			17	სოფელ ხიდის ყურში ატრაქციონების შესყიდვა/მონტაჟი	1431
7	ფლევი	დიდი ფლევი		5616		42672	18	სოფელ პატარა ფლევში წყლის ჭაბურღილის მოწყობა	42672
		პატარა ფლევი	2670	159					
		ტკოცა	1071	3085					
8	წაღვლი	წაღვლი	169,99	3837,39	17134				
		ყობი	2138		4132				
		კლდისწყარო	1051,49	654					
		ქვემო ბროლოსანი	37,71	916,55					

9	ოსიაური	ქვემო ოსიაური	284,13	461,22		745,35	19	სოფელ ქვემო ოსიაურში ატრაქციონების შესყიდვა/მონტაჟი	745,35
		ზემო ოსიაური	1073,82	2743		3816,82	20	სოფელ ზემო ოსიაურში არსებული ბლოკით სასაფლაოს შემოღობვა	3816,82
10	ხცისი	მიწობი			4423		21	სოფელ მიწობში საბავშვო ბაღის მშენებლობის გაგრძელება	4423
11	დაბა სურამი	დაბა სურამი	412,65	353,24		9481,25	22	დაბა სურამში გარე განათების მოწყობა დარჩენილ უბნებში	1000
		ურთხვა	162,67	108,52			23	დაბა სურამში მცირე ზომის სანაგვე ყუთების შესყიდვა	2000
		ბიჯნისი	4550,56	1941,96			24	დაბა სურამში რკ/სადგურის მიმდებარე პარკში ატრაქციონების შესყიდვა/მონტაჟი	1250
		ზეკოტა	1948,2	3,45			25	ბიჯნისში წყაროს მოწყობა	3000
							26	დაბა სურამში კაკალათხევის სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	2231,25
12	ცხრამუხა	ცხრამუხა			400	400	27		
		დამჩხეულა					28	სოფელ დამჩხეულაში სასაფლაოსთვის წყლის გასაყვანად და წყაროს მოსაწყობად მასალების შესყიდვა	400
13	ქვიშხეთი	ქვიშხეთი	353,58	318,9		17811	29	სოფელ ქვიშხეთში საბავშვო ბაღის რეკონსტრუქცია/ რეაბილიტაცია	4240
		ტაშისკარი	1872,13	830,32			30	სოფელ ქვიშხეთში, ჭალისუბნის ტერიტორიაზე არსებული საფეხბურთო მოედნის შემოღობვა	10000
		ბეღლეთი			4240		31	სოფელ ქვიშხეთში წყლის ქსელის მოწყობა	3571
		ბულბულისციხე	399,46	61,57					
		სარმანიშვილისკარი	40,37						
		ტეზერი	4053,31						
		ყიფიანთუბანი	1358,08						
		სავანისუბანი	1964,18	100,85					
		რუსაანთუბა	1594,96	623,32					
სულ ჯამი(ლარი)									127 735,25

სურამელი ნეიროქირურგის აფხაზური ქველმოქმედება

კობა გელაშვილი: "აფხაზებს აქვთ შესაძლებლობა, რუსეთში იმკურნალონ, მაგრამ საქართველოში ჩამოდიან!"

ჩვენ არც დასაკარგი ადამიანები გვყავს და არც სისხლით მოტანილი საქართველო გვაქვს გასაყოფი. ერთეულების ამბიციებზე ვაგებთ პასუხს

და პიროვნულ პატივმოყვარეობას ვეწირებით ადამიანები, რომლებსაც ერთნაირად გვიყვარს და გვტკივა აფხაზეთიც და სამაჩაბლოც. ორათეულწლიანმა დაპირისპირებამ, თავისი სახელი დაარქვა ყველაფერს, ეს ჩვენი ომი არ იყო, აფხაზეთი დღემდე ჩვენი ტკივილია. რამდენიმე წლიანმა გაყოფამ, ურთიერთობის აღდგენისა და კომუნიკაციის აუცილებლობა დაანახა ორივე მხარეს. ჩვენი რესპოდენტი, ცნობილი და წარმატებული ნეიროქირურგი, კობა გელაშვილი, მაგალითია იმ ადამიანების, რომლებიც თითო და აუცილებელ აგურს დებენ ქართულ-აფხაზური ურთიერთობის მშენებლობაზე. რამდენიმე წელია სოხუმის მოსახლეობას სამედიცინო დახმარებას უწევს-ურთულეს ოპერაციებს უკეთებს, სრულიად უანგაროდ. ორმაგად სასიამოვნოა, რომ ბატონი კობა, სურამელი, ტრადიციული ქართული ოჯახიდანაა, რამაც მის საქმიანობაშიც ჰპოვა ასახვა. აფხაზეთში პროფესიული ვიზიტების, ადამიანური ურთიერთობების და სხვა ქართულ-აფხაზური დამოკიდებულებების შესახებ,თავად ბატონი კობა ისაუბრებს:

-თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტი დავამთავრე, შემთხვევით მოვხვდი ქუთაისში, სადაც დღემდე ვმუშაობ. მეორე წელია აღარ ვყოფილვარ აფხაზეთში, ძირითადად, პაციენტები გადმოდიან. თუმცა, კომუნიკაცია და ურთიერთობები დღემდე გრძელდება. ძალიან დიდია ნდობის მომენტი ჩვენს მიმართ. როდესაც პირველად წავედით, ოპერაციის მერე, ფულს ხელში გვაძლევდნენ, ჩვენს უარზე, გაოცდნენ, არადა, იქ ჩვენ ფულის საშოვნელად ნამდვილად არ დავდივართ. ეს იყო ჩვენი მხრიდან კეთილი ნება, დავხმარებოდით ჩვენს აფხაზ თანამემულეებს. ვატარებდით ურთულეს ოპერაციებს და საჭიროების შემთხვევაში, საქართველოში ვაგრძელებდით მკურნალობას.

<u>- პრობლემა არ გექმნებათ გადასვლაზე?</u>

- როდესაც პირველად გადაწყდა ჩვენი წასვლა, ჩვენმა დირექტორმა იკითხა, რამდენად იქნებოდა დაცული ჩვენი უსაფრთხოება, ქართველმა ძალოვნებმა თქვეს, თუ იქ გადავლენ ექიმები, ერთი პროცენტის ალბათობაც არაა, რომ მათ ვინმემ ზედმეტი უთხრასო, პრეზიდენტს შეშურდება, ისეთ ყურადღებას მიაქცევენო... ასეც იყო!

<u>- რამდენად ხშირად ჩადიხართ ხოლმე აფხაზეთში?</u>

- ჩემი უახლოესი მეგობარია ოთარ მარშავა, რომლისთვისაც არანაირი შეზღუდვა არ არსებობს გადაადგილების მხრივ, თქვენ უნდა ნახოთ, როგორ უყვართ იქაურებს ოთარი. ერთხელ,ჩასულები ვიყავით და ხალხი სპეციალურად გამოდიოდა გარეთ,რომ ქართულწარწერიანი ჩვენი მანქანა დაენახათ. მეც,რა თქმა უნდა,ჩავდივარ აფხაზეთში,ცოტა ხნის წინ დეიდაშვილი დამეღუპა და დაკრძალვის დღეს დამირეკეს-სასწრაფო ოპერაცია იყო,დავკრძალეთ თუ არა,მაშინვე წავედი და იქ რომ გაიგეს,თუ საიდან მივდიოდი,ძალიან დიდი პატივით მიმიღეს. რესტორანში წავედით და რომ გაიგეს,ქუთისიდან ჩასული ექიმები ვიყავით, ყველას უნდოდა, რაღაც ფორმით, გამოეხატა პატივისცემა. სხვათაშორის, პირად საუბრებში, ძალიან ხშირად ამბობენ: ყველაზე მეტად ქართველები გვაკლიაო. საოცარი ნდობა აქვთ ქართველი ექიმების მიმართ, თითქმის ყოვლისშემძლეები ვგონივართ. მათ აქვთ საშუალება,რომ მოსკოვში წავიდნენ და იქ იმკურნალონ, მაგრამ საქართველოში ჩამოსვლას ამჯობინებენ.

<u>-რამდენად ხშირია მომართვიანობა და რამდენად ზრუნავს ქართული მხარე მათი ჯანმრთელობის დაზღვევაზე?</u>

-საკმაოდ დიდია მომართვიანობა. ძალიან გვენდობიან და ქართული მხარეც ზრუნავს მათი ჯანმრთელობის დაზღვევაზე. თითქმის უსასყიდლოდ ვემსახურებით. აფხაზეთიდან სასიკვდილოდ განწირული 80 ჩვილი გადმოიყვანეს და ოთხმოცივე სრულიად გამოჯანმრთელებული დაბრუნდა უკან.

<u>- საავადმყოფოების მდგომარეობა როგორია? რა გარემოში გიწევთ ოპერაციების ჩატარება?</u>

- სხვათაშორის, თვითონ სოხუმში აქვთ ფანტასტიკური საავადმყოფო, რომელიც უმაღლეს დონეზეა აღჭურვილი, თუმცა პერსონალის კვალიფიკაციაა დაბალი, ამიტომ, ჩვენ შევთავაზეთ, 2-3 კვირიანი სწავლებისათვის ჩვენთან ჩამოსვლა. მთელ სოხუმში ერთი ნეირო-ქირურგი ჰყავთ,სინუხოვი,რომელიც მღვდელია,ბუნებრივია,ის სრულყოფილად ვერ იმუშავებს თავის სპეციალობით, მიუხედავად იმისა,რომ საკმაოდ კარგი სპეციალისტია. რეალურად იმას,ვინც

(დასასრული VI გვერდზე

სურამელი ნეიროქირურგის აფხაზური ქველმოქმედება

(დასასრული)

აფხაზეთში ფინანსებს განკარგავს (ანუ რუსეთს), საერთოდ არ აინტერესებს, არათუ მედიცინის, არამედ არაფრის განვითარება. მე, პირდაპირ ვუთხარი იქაურ აფხაზებს, რომ თუ ასე გაგრძელდა, 30 წელიწადში აღარვის ეცოდინება აფხაზური-თქო.

- პოლიტიკაზე თუ საუბრობთ მათთან?

- როდესაც პაციენტებთან გვაქვს ურთიერთობა, ვცდილობთ, საერთოდ არ ვახსენოთ პოლიტიკა, რადგან, მათი მხრიდან დამოკიდებულება ძალიან კარგია. 4 თვის წინ მყავდა ოთხი აფხაზი პაციენტი, სამი გოგონა და ერთი პატარა ბავშვი, აქედან, ერთ-ერთის მეუღლე, იქაურ ავტო-ინსპეციაში, საკმაოდ მაღალ თანამდებობაზეა. ამ პაციენტებმა თქვეს, როცა მოვდიოდით, იქ გაგვაფრთხილეს, რომ საქართველოში არ თქვათ, აფხაზეთიდან რომ ხართ, თორემ საშიშიაო, მე ვუთხარი, პირიქით, სადაც მოხვდებით, სახელზე წინ უთხარით, რომ აფხაზეთიდან ხართ-მეთქი, მართლაც, ამის მერე, ამბობდნენ თავის ვინაობას და გაგიუებული იყვნენ, როგორ გყვარებივართ ყველასო. პაციენტებთან მერეც ვაგრძელებ ურთიერთობას, მირეკავენ, სოხუმში მეპატიჟებიან და პირიქით. ახლაც, ერთ-ერთს ველოდები, ჩემთან, სურამში, უნდა დავასვენო, რადგან მის პატარას აქვს ასთმა და სურამის ჰაერი მისთვის იდეალური იქნება. სხვათაშორის, ამ ბავშვს, ჩემმა მეგობარმა ოთარ მარშავამ, ჯიბის დანით გაუკეთა ტრაქეოსკოპია, რადგან ბავშვი იგუდებოდა და სხვა ინსტრუმენტი არ ჰქონდა. თვითონ აფხაზეთის ხელისუფლება არ უქმნის მათ პრობლემას, რომ აქ გადმოვიდნენ, მაგრამ თუ საუბარი მაღალ თანამდებობის პირებს შეეხებათ, გარკვეული შეზღუდვები აქვთ, თუმცა, მინდა, გითხრათ ,საკმაოდ მაღალი რანგის ჩინოვნიკები ყოფილან ჩვენთან სამკურნალოდ. ჩვენ არ გვიყვარს ჩვენს ცუდზე ლაპარაკი, მაგრამ ხმამაღლა უნდა ვთქვათ, რომ იმ ომში ჩვენც მიგვიძღვის ბრალი, როდის ყოფილა, რომ ორ მოჩხუბარს შორის რომელიმე 100% მართალი ყოფილიყოს. არის სოფელი, სადაც 300 მაცხოვრებლიდან 270 გარდაიცვალა, რთულია დარჩენილი ოცდაათი დაარწმუნო, რომ ქართველები ანგელოზები არიან, მაგრამ მასიურად უმეტესობას გაცნობიერებული აქვს, რომ ეს იყო ორი დეგენერატის ომი, რომლითაც ვერცერთმა მხარემ ვერ იხეირა.

- ქართულად თუ საუბრობენ?

- უმეტესობას ერთი ნათესავი მაინც ჰყავს ქართველი და ასე თუ ისე, იციან ქართული. როცა იქ ჩავდივართ პირდაპირ გვთხოვენ, რომ ველაპარაკოთ ქართულად, რადგან აღარ ახსოვთ და უნდათ გაიხსენონ, უხარიათ, როდესაც ქართულად ველაპარაკებით. სხვათაშორის, მაღალი ეშელონების წარმომადგენლებიც არ ერიდებიან საქართველოს სადღეგრძელოს დალევას. მეტსაც გეტყვით, ჩემი მეგობრის პაატა ნემსიწვერიძის შვილი, არის ბათუმელი არშბას მეუღლე, ქორწილი მოსკოვში გადაიხადეს, სადაც ბაღაფშმა მასთან ერთად "ვახტანგურით" დალია საქართველოს სადღეგრძელო, ეს ხდება მისი პრეზიდენტობის დროს. ნებისმიერ აფხაზს რომ ჰკითხო, რომელი ღვინო აქვს სახლში, გიპასუხებს: რქაწითელი ან ციცქა-ცოლიკაურიო-გადმოდის, ყიდულობს და წურავს,მერწმუნეთ, რომ არა "ჩრდილოელი ძმა", ბევრი რამის მარტივად შეცვლა იქნებოდა შესაძლებელი.

წარმატებები და კიდევ მრავალი სიცოცხლის გადარჩენა ვუსურვეთ ბატონ კობას, რომელმაც თავის მხრივ, გამოთქვა იმედი, რომ მომავალი თაობა მაინც შეძლებს ურთიერთობის განახლება-დალაგებას და გაანალიზებს, რომ ერთი ქვეყნის შვილებს, სადაო და გასაყოფი არაფერი ჰქონდეთ.

თ. ჯავახიშვილი, ლ. გოგოლაძე

შეხვედრა მუზეუმელებთან

.

სურამისა და ხაშურის ეპისკოპოსი მეუფე სვიმეონი ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს სტუმრობდა. როგორც მეუფე სვიმეონმა ბრძანა,ეს მუზეუმში მისი პირველი ვიზიტი გახლდათ, რომლის მიზანი თანამშრომლების გაცნობა და მუზეუმის მომავალ საქმიანობაზე აზრების ურთიერთშეჯერებაა. მეუფემ აღნიშნა,რომ საჭიროა ახალგაზრდების მეტი დაინტერესება და ჩართულობა სხვადასხვა პროექტებში, ხაშურის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა, რათა იგი უფრო მიმზიდველი გახდეს ტურისტებისათვის. მუზეუმელებმა ისაუბრეს სამომავლო პერსპექტივებსა და ხელისშემშლელ მიზეზებზე. შეხვედრას ესწრებოდა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ვაჟა შუბითიძე,რომელმაც აღნიშნა,რომ ადგილობრივი ხელისუფლებისგან მუზეუმს და, ზოგადად, კულტურისა და მეცნიერების სფეროს ყოველთვის ექნება მხარდაჭერა. მეუფე მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული უნიკალური ექსპონატებითაც დაინტერესდა, მათ შორის ვახტანგ VI-ის დროინდელი სახარებით და ადრე ბრინჯაოს ხანის ნაცარგორაში მოპოვებული მასალით, რომლებიც, დაგეგმილი სარემონტო სამუშაოების გამო, ამჟამად გამოფენილი არ არის. ნანახით აღფრთოვანებულმა მეუფე სვიმეონმა აღნიშნა,რომ ასეთი ექსპონატები დაამშვენებდა მსოფლიოს ნებისმიერ მუზეუმს და საჭიროა, მათი პოპულარიზაცია სხვადასხვა საშუალებებით. სამუზეუმო გაერთიანების დირექტორმა თამაზ ლაცაბიძემ სტუმრებს მიხეილ ქავთარიას სახელობის ახლადდაარსებული ბიბლიოთეკა და ეთნოგრაფიული გამოფენა დაათვალიერებინა და საპატიო სტუმარს რამდენიმე გამოცემა, მათ შორის, „ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების გზამკვლევი“ გადასცა.

ინფორმაცია

2015 წლის 1 ოქტომბერს 12:00 საათზე ქალაქ ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში მის: ტაბიძის ქ. №2 გაიმართება, აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის -60 ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის გზის მონაკვეთის (126კმ- 143კმ) მოდერნიზების სამუშაოების ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილი სამუშაოების ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ–გვერდზე: www.georoad.ge
- 12:00 საათზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (ანგარიშის ნაბეჭდი ვერსია);

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

- მაკა სტამათელი ტელ: 599 19 68 39; E-mail: mszgc@access.sanet.ge
- მაია ვაშაკიძე ტელ: 593 32 30 77; E-mail: maya_vashakidze@yahoo.co.uk
- ლუიზა ბუბაშვილი ტელ: 595219141 .likabubashvili@yahoo.com

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,

მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.

E-mail Khashurismoambe 2015@.gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის“ ხაშურის ფილიალი, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიში GE80LB0115114434590001.

D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.